



საქართველოს პარლამენტის
დადგენილება

საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო
საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ“
საქართველოს კანონის 17¹ მუხლისა და საქართველოს პარლამენტის
რეგლამენტის 221-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს დებულება (თან ერთის).
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 29 თებერვლის №5778-ის დადგენილება „საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწილი III, №35, 06.03.2008, მუხ. 374).
3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე

1. 01 11/11/14

არჩილ თალაკვაძე

თბილისი,

29 სექტემბერი 2020 წ.

N7200-ის

საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის
სახელმწიფო საბჭოს დებულება

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო

1. საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო (შემდგომ – ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო) არის საქართველოს პარლამენტთან მოქმედი ორგანო, რომელიც არეგულირებს საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოებსა და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოებთან დაკავშირებულ საკითხებს.

2. ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო თავისი საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, „საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს კანონით, „სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით, ამ დებულებითა და სხვა სათანადო სამართლებრივი აქტებით.

3. ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს აქვს ანგარიში სახელმწიფო ხაზინაში, საკუთარი ბეჭედი და ბლანკი.

თავი II

ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს ძირითადი ფუნქციები და

უფლებამოსილებები

მუხლი 2. ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს ძირითადი ფუნქციები

ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს ძირითადი ფუნქციებია:

ა) საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოებთან დაკავშირებით წინადადებების შემუშავება;

ბ) საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენების შესახებ წინადადებების შემუშავება;

გ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულების სიმბოლოების შექმნასა და მათი გამოყენების წესების დადგენაში მონაწილეობა, სათანადო რეკომენდაციების შემუშავება;

დ) სახელმწიფო ცერემონიის, ოფიციალური ღონისძიებისა და სამხედრო აღლუმის მოწყობისას საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოებისა და სხვა ჰერალდიკური ნიშნების გამოყენების წესების დადგენაში მონაწილეობა, სათანადო რეკომენდაციებისა და დასკვნების გაცემა;

ე) საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებათა ჰერალდიკური ნიშნების, საქართველოს სახელმწიფო სამხედრო და სპეციალურ უწყებათა სპეციალური ფორმის ტანსაცმლისა (უნიფორმებისა) და განმასხვავებელი ნიშნების, უწყებრივი ჯილდოების, დროშების ერთობლიობისა და ემბლემების შექმნასა და მათი გამოყენების წესების დადგენაში მონაწილეობა, სათანადო რეკომენდაციებისა და დასკვნების გაცემა;

ვ) საქართველოს საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების შესრულება.

მუხლი 3. ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს უფლებამოსილებები

ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო უფლებამოსილია:

ა) მეცნიერებისა და სხვა სპეციალისტებისგან მიიღოს თავისი ფუნქციების შესასრულებლად და უფლებამოსილებების განსახორციელებლად საჭირო მომსახურება, კანონის შესაბამისად ხელისუფლების ორგანოებისგან, საჯარო დაწესებულებებისგან, თანამდებობის პირებისგან, ორგანიზაციებისგან, ფიზიკური და იურიდიული პირებისგან გამოითხოვოს